# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 72 ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი, 1918 წ. № 72


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.



## ქართული სამუსიკო საზოგადოება

კონსერვატორიის დარბაზში პარასკევს, 1 ნოემბერს გაიმართება

## პირველი კონცერტი-კვარტეტისა

მონაწილეობას იღებენ: ნ. დ. ნიკოლაევი (როიალი) და კვარტეტი ქართ. სამუსიკო სკოლისა.

ბილეთები იყიდება მუსიკ. მაღაზიაში კ უ რ ე რ (გოლოვინის პრ № 8) დასაწყისი 8 საათ. საღამოს.

764 3—2

მე II-ე წელ. ვაჟთა და ქალთა გიმნაზია მე II-ე წელ.

## ნ. გ. თევზაძის

უფლებიანი, ახალი ტიპის, 8 კლასის კურსი თავდება 4 წლიწადში.

ქაშუეთის ქ., № 11.

თხოვნები მიიღება ყველა კლასებში. საგნების სწავლება რუსულად. ქართველებისთვის—საქართველოს ისტორია და ლიტერატურა სავალდებულო საგნებია. მეცადინეობა საღამოობით. მოწაფეები მიიღებიან გაუნარჩევლად ეროვნებისა და სქესის მოწმობებით შესაფერ კლასებში, ვისაც მოწმობა არ აქვს—გამოცდით. მეხუთე კლასში გამოუცდელად მიიღებიან ის პირნი, რომლებსაც გათავებული აქვთ უმაღლეს დაწყებითი სასწავლებელი ან და სხვა შესაფერი კურსის სასწავლებელი. კანცელარია გაღებულია საღამოს 4—8 ს. გიმნაზია აძლევს მოწაფეებს ყოვასო სახელმძღვანელოებს. ყოველდღიური მეცადინეობა დაიწყო 2 ენკენისთვიდან.

1917/18 წ. დს გიმნაზიამ მოწაფეებს გაათავებია პირველად.

50—45 გიმნაზიის გამგე ს. ნ. შულგინი.

ქართული ლატარეა

5.000.000 მან.

ქართულ უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოთ.

პირველი მოგება 100000 მანეთია

ბილეთები იყიდება ყველგან, სადაც კი გამოცხადებულია.

შემთხვევით

იყიდება სახლი იყიდება

თუმანოვის ქ., რევაზოვის შესახ. (კუთხეში), № 7.
სახლი შეიცავს 6 დიდ ოთახს და 4 პატარას.

ექიმი ი. კ. ჯაპარიძე

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა.
ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველ გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^{1}/_{2}$—6 საათამდე.
პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86.
№ 719.

ექიმი

ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი ინახულებს ვენერიულ, კანთა, სიფილისით (ათაშანგი) და სქესობრივ უძლურებით ავადმყოფებს დილის 8—11 და საღამოს 4—7 საათამდე.
მისამართი: ვარანცოვის ძეგლთან, რაზიეზდის ქუჩა, სახლი № 19. 7—5

## კაფე „ერთობა“

კაფე „ერთობა“, კაფე „ერთობა“,
რა საგულისხმო გასაგონია!
ამაზე იაფ ჯანსაღ სადილსა
ვერსად ვერ ჰპოვებთ არა მგონია.

ორ თავ სადილში, თავისი პურით,
თქვენ „ერთობაში“ შვიდ მანეთს მისცემთ.
და მადლიერი მორთმეულ კერძით
კაფე „ერთობას“ მუდამ პატივს სცემთ.

ქართულ კლუბის ქვეშ კაფე „ერთობას“
ვინ არ იპოვის, ვინ არ მიაგნებს?
სადაც კი გინდათ დაგიგვიანდეთ
კაფე „ერთობის“ სადილს მიასწრებთ. 25—4 680.


საგაჭრო-სამრეწველო სამინისტროს სამრეწველო განყოფილების

## განცხადება.

ვაცნობებთ ყველა მომხმარებელს ტყვიბულის ქვა-ნახშირისას, რკინის გზების გარდა, რომ 1 ნოემბერს 1918 წ. გადატანა ტყვიბულის ქვა-ნახშირისა რკინის გზით იწარმოებს განსაკუთრებულ კომიტეტისაგან დამტკიცებული გეგმით. გამგზავნელთა ან მიმღებთა საცნობლად, თუ დანიშნულ გეგმით თუ რამდენის გაგზავნა შეიძლება ნახშირისა თვეში ყველა მომხმარებელისათვის საგანგებო განცხადებანი იქნება გამოკიდებული იმ სადგურზედ, საიდგანაც ან სადაც იგზავნება ქვა-ნახშირი.

მთავრობის დაწესებულებათ, რომელნიც შედიან გეგმაში, ვაგონებით სარგებლობის მხრივ უპირატესობა მიეცემათ.

ტყვიბულის ქვა-ნახშირის იმ მომხმარებელთ, რომელთაც უნდათ შეტანილ იქმნენ გეგმაში, შემდეგი წესი უნდა დაიცვან:

განცხადება შემოიტანონ სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში (ჭავჭავაძის ქ., № 2) და ამ განცხადებაში უნდა აღნიშნონ:

1) სახელი და მისამართი ტყვიბულის ნახშირის გამგზავნებისა, 2) სახელი მიმღებისა, 3) სადგური, საიდგანაც იგზავნება, 4) სადგური, სადაც იგზავნება, 5) რაოდენობა ნახშირისა ფუთობრივ, ანუ ვაგონობრივ და 6) რა მიზნით არის ნახშირი შეძენილი.

განცხადებას უნდა დაეკრას მანეთიანი ღერბის მარკა.

ეს განცხადება, რათა იგი შეტანილ იქმნას მიმდინარე თვის გეგმაში, დაახლოვებით წარმოდგენილი უნდა იყოს არა უგვიანეს 15 რიცხვისა. თუ ამ ვადაზე ველარ წარმოადგინეს განცხადება, იგი შეტანილ იქნება მიმდინარე თვის გეგმაში კი არა, არამედ შემდეგ თვეში და მაშასადამე არ მიიღებენ ნებართვას ნახშირის გატანისას მიმდინარე თვეში.

მომხმარებელთა საცნობლად ცხადდება აგრეთვე, რომ მაღაროებში გასასყიდად მარტო ნახშირის ფხვნილია. მსურველთ შეუძლიათ ნახონ ფხვნილის ნიმუში სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს სამრეწველო განყოფილებაში და საქართველოს რკინის გზის სამმართველოში (служба тяги). იქვე შეიძლება ფასის შესახებ ცნობების შეტყობაც.

მომხმარებელთ შეძენილ ნახშირის ფასი უნდა შეიტანონ გაგზავნის დროს ან ტყვიბულის სადგურზედ და ან საქართველოს რკინის გზის მთავარ კასაში ქ. ტფილისში.

რკინის გზით ნახშირის გადასატანათ ფასი უნდა გარდახდილ იქმნას საერთო წესით იმ სადგურზედ, საიდგანაც იგზავნება და ან იმ სადგურზედ, სადაც იგზავნება.

ვიცე-დირექტორი სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროს კანცელარიისა დ. აფხაზი.

762 1—1

## სავალდებულო დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ სასურსათო საბჭოსი.

ყველა აქამდე გამოცემული აკრძალვა და შეზღუდვა სურსათ-სანოვაგის და საერთოდ სახმარებელ საქონლის საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში გადატან-გადმოტანის შესახებ ამით გაუქმებულია და შეცვლილი და მათი გადატან-გადმოტანის შესახებ მყარდება შემდეგი წესები:

1. მოცვის ფოთლის (ჩაის) გადატან-გადმოტანა, 3 გირვანქაზედ მეტისა, შეიძლება მხოლოდ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს, ან ამ უკანასკნელის ქუთაისის გუბერნიაში ჩაის დამზადების საქმის რწმუნებულის ნებართვით.

2. გადატან-გადმოტანა მარილისა, 3 ფუთზედ მეტისა, შეიძლება მხოლოდ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს, ან მის მიერ ამისთვის განსაკუთრებით დანიშნულ რწმუნებულთა და დაწესებულებათა (როგორიც არიან: ქალაქთა და ერობათა თვითმმართველობანი, ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა და ყველა სარაიონო კოოპერატივთა კავშირები) ნებართვით.

3. შაქარი, არა უმეტს 10 გირვანქისა, შეიძლება თავისუფლათ გადატანილ იქმნას, ხოლო ამაზედ მეტის შაქრის გადატან-გადმოტანისათვის აუცილებლად საჭიროა ცენტრ. სასურს. საბჭოს ან მის მიერ რწმუნებულ ქალაქთა და საერობო თვითმართველოებათა ნებართვა. საზღვარ-გარეთიდან შემოტანილი და საბაჟოში გატარებული შაქარი შეიძლება შემოტანილ იქმნას საქართველოს მიწა-წყალზედ მხოლოდ საზოგადოებრივ დაწესებულებათა მისამართით ცენტრალურ სასურსათო საბჭოს ქ. ფოთის რწმუნებულის ნება-რთვით.

4, გადაზიდვა კაუსტიურ სოდისა შეიძლება მხოლოდ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს ნება-რთვით.

5. ცარიელ ტომრებისა და ბრეზენტების გადატან-გადმოტანა შეიძლება ცენტრალურ სასურსათო საბჭოს ნებართვით, ან უკანასკნელის მიერ რწმუნებულ ორგანიზაციათა, ქალაქთა და საერობო თვითმართველოებების და ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ნებართვით.

6. შეშის გადატან-გადმოტანის ნებართვის მისაღებად უნდა მიჰმართონ მიწათ-მოქმედების სამინისტროს, ხოლო დანარჩენ სათბობ მასალისა და ლითონის გადაზიდვისთვის—ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს.

7. გადატან-გადმოტანა ყველა დანარჩენ ტვირთისა, I, V მუხლში ხსენებულთა გარდა, და აგრეთვე პურისა ბორჩალოს მაზრიდგან შეიძლება ყოველნაირ მისამართით ყველა სადგურიდგან და ამის შესახებ არავითარი ნებართვა არ არის საჭირო.

8. ეს სავალდებულო დადგენილება შედის ძალაში დღიდგან მისის გამოცხადებისა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში.

9. ამ სავალდებულო დადგენილების ასრულებისათვის თვალ-ყურის დევნება ევალება ცენტრალურ სასურსათო საბჭოს აგენტებს და საქართველოს რკინის გზების უფროსს.

10. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავენი მიიცემიან კანონიერ პასუხის-გებაში

784 1—1 ცენტრალურ სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ა რ დ ი შ ვ ი ლ ი.

ოფიციალური განყოფილება

## გახკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

16 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 223.

თამბაქოს ფაბრიკის „მირ“-ის მეაქციეთა საზოგადო კრების ამა წლის 4 მარტის დადგენილების თანახმად ამა საზოგადოების გამგეობამ ამა წლის 31 აგვისტოს მე-248 №-რით შუამდგომლობა აღძრა, რომ საზოგადოების ძირის თანხა გადიდებულ იქმნას 1.000.000 მანეთით. ამის გამო ამა საზოგადოებას ნება დაერთო გამოსცეს აქციები რიცხვით მესამედ შემდეგის პირობით:

1) სააქციო საზოგადოება „მირ“-ი გამოსცემს 10.000 აქციას დარქმეულ ფასათ ერთი მილიონისას, რათა საზოგადოების ძირის თანხამ 2.500.000 მან მიაღწიოს.

2) პირველ-დაწყებითი ფასი 10.000 აქციისა უნდა უდრიდეს საზოგადოების წესდების მე-12 §-ის თანახმად, მის დარქმეულს ღირებულებას, ესე იგი თითო აქცია უნდა ღირდეს 100 მანეთად. ამ ფასს უნდა მიემატოს პრემია, წინად გამოცემულ აქციების სათადარიგო თანხის რაოდენობის შესაფერად, აქციაზედ 4 მან., სულ თითო აქცია უნდა ღირ-

დეს 104 მანეთად, რომლიდგანაც 100 მან. აქციის ფასი, საერთოდ 1.000.000 მან. უნდა ჩაირიცხოს ძირის თანხაში, ხოლო ზედ-მეტი 4 მან., სულ 40,000 მან., მიემატოს სათადარიგო თანხას.

ამას გარდა აქციის შემძენთ ხელის მოწერის დროს ცალკე უნდა გარდაიხადონ თითოეულს აქციაზედ 3 მან., სულ 30.000 მან., რომელიც უნდა მოხმარდეს აქციათა გერბის გადასახადსა და შემზადების ხარჯს.

3) უფლება პირველ-დაწყებით ფასად აქციათა უპირატესად შეძენისა ენიჭებათ საზოგადოების ძველ აქციების მქონებელთ იმ ანგარიშით, რომ ყოველს ძველს სამს აქციაზედ ორი ახალი ქცია შეიძინონ.

4) აქციები უნდა გამოიცეს გაუნაწილებლად და მთელი მისი კუთვნილი ფასი ხელის მოწერისათანავე უნდა იყოს გარდახდილი.

5) საზოგადოების იმ მოგებიდან, რომელიც ერგებათ მომავალ წელს აქციის პატრონებს, ახალს აქციებსაც უნდა გაუნაწილდეს დივიდენდი იმ ვადის კვალობაზედ, როდესაც შეტანილია მათის ღირებულობის ფასი.

6) ახლად გამოცემულ აქციების კუთვნილი ღერბის გარდასახადი, ღერბის გადასახადის წესდების თანახმად, უნდა შეტანილ იქმნას ხაზინაში ამთავით, აქციების გამოცემამდე.

7) თუ ვაიცობაა ახლად გამოცემული აქციები სავსებით არ შეიძინეს ძველის აქციების მქონებლებმა, დანარჩენ ნაწილის გასანაღდებლათ უნდა მოეწყოს საჯარო ხელის მოწერა იმ პირობით, რომელიც წინასწარ უნდა დამტკიცებულ იქმნას ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მიერ.

დანარჩენში ამ ახლად გამოცემულ აქციების შესახებ საზოგადოება უნდა მოიქცეს იმ წესების თანახმად, რომელიც აღნიშნულია ამა საზოგადოების წესდების მე-13—20 §§-ში.

14 სექტემბერი, 1918 წ.

№ 116.

„გ. გ. ადელხანოვის კავკასიაში ტყავისა და ნაბდის ნაწარმოებთა სააქციო საზოგადოების" გამგეობის შუამდგომლობის გამო, რომელიც აღძრულ იქმნა აქციის პატრონთა ამა 1918 წლის 30 ივნისის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, ნებადართულია, რომ ხსენებულ სააქციო საზოგადოების წესდება, რუსეთის მთავრობის მიერ 1896 წლის 12 აპრილს დამტკიცებული (გამოქვეყნებულია 1896 წლის კანონთა კრებულის მე-52 ან-ში), ამგვარად შეიცვალოს:

§ 21. საზოგადოების საქმეებს განაგებს გამგეობა, რომელიც ქალ. ტფილისში იმყოფება და შესდგება ხუთის დირექტორისაგან, რომელნიც ამორჩეულნი არიან აქციის პატრონთა საზოგადო კრების მიერ თავის წევრთა შორის ხუთის წლის ვადით.

§ 22. თუ რომელიმე დირექტორთაგანი ხანგრძლივი ვადით წავიდა სადმე ან ავად გახდა, აგრეთვე თუ დირექტორმა ვადამდე სამსახურს თავი დაანება, ამათ თანამდებობის აღსასრულებლად საზოგადო კრება ირჩევს სამს იმათს კანდიდატს ერთის წლის ვადით, ხოლო ყოველ სხვა მხრივ იმავე საფუძველით, როგორც დირექტორებს. კანდიდატებს დირექტორის თანამდებობის აღსრულების დროს ენიჭებათ ყოველი უფლება და უპირატესობა, რომელიც ამ თანამდებობასთან დაკავშირებულია.

§ 24. დირექტორები სამსახურს თავს ანებებენ საურთიერთო თანხმობით ან წილის ყრით ამ რიგად: ამორჩევის დღიდგან პირველ სამი წლის დამლევს სამსახურიდან გადის ერთი დირექტორთაგანი, ოთხის წლის დამლევს—ორი დირექტორი და კიდევ ერთი წლის დამლევს—დანარჩენნი ორნი. შემდეგ იმავე რიგით ანებებენ თავს სამსახურს დირექტორები, რომელთაც უკანასკნელ არჩევანიდან ამ თანამდებობაზედ ხუთს წელიწადს უმსახურნიათ. კანდიდატები ყოველ წელიწადს იცვლებიან.

გასული დირექტორები და კანდიდატები შეიძლება ხელ-ახლად იქმნან ამორჩეულნი.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის

მინისტრი გ. ჟ უ რ უ ლ ი.

---

კანონ-პროექტი

გარეშე საქმეთა სამინისტროს 1918 წ. ხარჯთაღრიცხვისა.

1. დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონთან დართული გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატები და ხარჯთაღრიცხვა.

2. გადაიდოს სახელმწიფო ხაზინის თანხიდან ამ კანონის 1 მუხ. აღნიშნული ხარჯთაღრიცხვისათვის 497,550 მან.

შემდეგი განაწილებით: 1) შტატების შესანახავად 102550 მან. 2) საკანცელარიო ხარჯებისთვის 7000 მ. 3) ბინის დასაქირავებლად 6000 მან. 4) გათბობა და სხვა სამეურნეო ხარჯებისთვის 7000 მან. 5) უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელების მისაღებად 150,000 მან. 6) საქართველოს წარმომადგენელთა შესანახავად 125,000 მან. და 7) მინისტრის განკარგულებაში 100,000 მან.

კანონ-პროექტი

სახელმწიფო ქაღალდების მზეჭდავ ექსპედიციისა და ხარჯთაღრიცხვისა.

1. დამტკიცებულ და ამა 1918 წლის ივნისის პირველიდან განხორციელებულ იქნეს ამ კანონთან დართული ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროსთან დაწესებული სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციის შტატები.

2. გადაიდოს სახელმწიფო თანხიდან ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული შტატებისთვის 827,295 მან. შემდეგი განაწილებით: 1) მოსამსახურეთა ჯამაგირისთვის 400295 მ., 2) ნორმაზე გადამეტებულ შრომისათვის 126,000 მან. 3) ელექტრონის ენერგიისათვის 7000 მან. 4) ქაღალდი, საღებავი და ლიტოგრაფიის მასალებისთვის 8000 მან. 5) გათბობისთვის 3000 მან. 6) რემონტი მანქანების, ინვენტარის და შენობის 7000 მან. 7) საკანცელარიო და მოულოდნელ ხარჯებისათვის 7000 მან. 8) ექსპედიციის შეკვეთილ საგნებზე კერძო ხელოსანთათვის მისაცემი გასამჯელო 40000 მან. 9) პრაქტიკანტების მოსაწვევად 7000 მან. 10) ფოლადის კასის და სხვა ინვენტარის შეძენა 20000 მან. 11) სასურსათო სამინისტროს ვალი 150000 მ.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მოკლე ვადიანი ექვს პროცენტ. სახელმწიფო ხაზინის ვალდებულებათა გამოცემის შესახებ.

1. ფულის ტრიალის გასაადვილებლად და საქართველოს რესპუბლიკის ხაზინის სახსართა გასაძლიერებლად გამოცემულ იქმნას რესპუბლიკის მთავრობის მიერ 50 მილიონ მანეთის 6% მოკლე ვადიანი სახელმწეფო ხაზინის ვალდებულებანი ვადით 3 თვიდან 12 თვემდე.

2. ვალდებულება უნდა იყოს უსახელო და დაიყოს შემდეგ კუპიურად 5000 მ., 1000 მ., 500 მ., 100 მან. და 25 მან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: თუ მსურველნი აღმოჩნდნენ, უსახელო ვალდებულება შეიძლება გადაკეთდეს მსურველის სახელზედ.

3. აღნიშნულ ვალდებულებათა სარგებელი განთავისუფლებული იქნეს სახელმწიფო გადასახადისაგან.

4. ვალდებულება გაიცემა და მიიღება ხაზინაში ყოველივე შემოსავალ-გასავალის დასაფარავად და აგრეთვე საწინდრათაც.

5. ვალდებულებათა შეძენა შეიძლება სახელმწიფო ბანაკის კანტორასა და განყოფილებაში, რესპუბლიკის ხაზინებში და ყველა კერძო საკრედიტო დაწესებულებებში.

6. სარგებელი ვალდებულების მიმღებთ ეძლევათ წინდაწინ დღიდან ვალდებულების შეძენისა.

7. ვადა გასულ ვალდებულებათა პატრონებს შეუძლიანთ მიიღონ ხაზინიდან ან ხვედრი ფული ან ახალი ვადის ვალდებულებანი.

8. ვადა გასულ ვალდებულებათა გამოსასყიდად სახელმწიფო ბანკის ტფილისის კანტორაში საქართველოს რესპუბლიკის ხაზინას გაეხსნას მიმდინარე ანგარიში, რომელზედაც ჩაირიცხება გაყიდულ ვალდებულებათაგან შემოსული და გამოირიცხება ვალდებულიბათა გამოსყიდვაზე დახარჯული თანხები.

9. ფინანსთა მინისტრს მიენდოს ამ კანონის განხორციელება.

10. კანონი ძალაში შედის დღიდან ეროვნულ საბჭოს მიერ დადგენილებისა.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

გზათა მინისტრისა კახეთის რკინის გზის და სახელმწიფო რკინის გზების სამმართველოებს.

15 ოქტომბერი, 1918 წ.

№ 33.

პირდაპირი გამგეობა და ხელმძღვანელობა საქართველოს ყველა რკინის გზებისა გზათა სამინისტროში ამა წლის 15 ოქტომბრიდგან მინდობილი აქვს საერთო საქმეთა მმართველობის უფროსს ბ-ნს ფიცხელაურს, რომელსაც ამ თანამდებობისათვის დაწესებული ჯამაგირი ენიშნება. ამის გამო წინადადებას ვაძლევ სახელმწიფო და კახეთის რკინის გზების უფროსებს, რომ ყოველ ისეთ საქმეს, რომელიც იმათს უფლებას აღემატება, და ყოველ იმ საკითხისათვის, რომელიც საჭიროებას მთავარ-სამმართველოს სახელმძღვანელო განმარტებას, მიმართონ პირდაპირ ბ-ნს ფიცხელაურს.

№ 34.

მხედველობაში მქონდა რა მიღებული რკინის გზის საქმეთა წარმოების არეულ-დარეული მდგომარეობა, ამა წლის 5 ენკენისთვის მე 22 №-რის ბრძანებით დროებით დავავალე გზათა სამინისტროს საერთო საქმეთა სამმართველოს უფროსს ბ-ნს ფიცხელაურს საზოგადო ხელმძღვანელობა და პირდაპირი ზედამხედველობა საქართველოს რესპუბლიკის ყველა რკინის გზისა დიდად ვრცელის უფლებამოსილობით. კმაყოფილებითა და სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ადმინისტრატიული გამოცდილებისა და რკინის გზის საქმეთა დიდის ცოდნისა გამო ბ-ნმა ფიცხელაურმა შესძლო მისდა დავალებულ მოვალეობის შესრულება და რკინის გზებზედ ჯეროვანი მდგომარეობა დაამყარა, რის წყალობითაც შემდეგში რკინის გზებს შეეძლებათ ნაყოფიერი მოწესრიგებული მუშაობა, რისთვისაც დიდს მადლობას ვუცხადებ ბ-ნს ფიცხელაურს და დარწმუნებული ვარ, რომ ამიერიდგანაც (იხ. ბრძანება № 33) არ დააყოვნებს იგი ხელმძღვანელობა გაუწიოს რკინის გზებს თავისის გამოცდილებისა და ცოდნისამებრ. ამავე რიცხვიდან პირდაპირი გამგეობა რკინის გზებისა მიმინდვია რკინის გზის ადგილობრივ სამმართველოებისათვის აწ არსებულ კანონდებულებათა და ინსტრუქციების თანახმად.

გზათა მინისტრი ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

---

## არა ოფიციალური განყოფილება.

ტფილისი, 23 ოქტომბერი.

ანბანური ჭეშმარიტებაა უკვე ის მოსაზრება, რომელიც ეკონომიური ფაქტორის უპირატესობაზე ლაპარაკობს. ცხადია,—თუ ერი, სახელმწიფო ეკონომიურად დაქვეითებულია, ის კულტურულადაც უძლური, არა-საიმედოა და ასეთი ერი ეკონომიურად ძლიერთა ხელში უბრალო საექსპლოატაციო მასალად იქცევა.

თანამედროვე საერთაშორისო ომი უტყუარი დამამტკიცებელია იმის, რომ ძლიერი კულტურა იქ არის განმტკიცებული, სადაც ძლიერია ეკონომიური ცხოვრება, სადაც უაღრესად განვითარებულია ვაჭრობა-მრეწველობა, რომ იმარჯვებს ის ხალხი, ის სახელმწიფო, რომელსაც უმაღლეს საფეხურამდე აუყვანია ეკონომიური ცხოვრების ნერვიული ცენტრი—ტეხნიკა.

სახელმწიფოსა და მისი აპარატის საღი და მტკიცე მოქმედება, როგორც შიგნით ისე გარედ, სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში კიდევ უფრო ცხად ჰყოფს, რომ მისს ეკონომიურ პოლიტიკაზედ არის დამოკიდებული მისი ფასი და პრესტიჟი სახელმწიფოთა ურთიერთობაში.

დარღვეულ ეკონომიურ ცხოვრების მქონე სახელმწიფოს დაკარგული აქვს ყოველივე საალმშენებლო ძალა და ის, არა თუ ეკონომიურად, პოლიტიკურადაც ხსვა, უფრო ძლიერ სახელმწიფოებს უვარდება ხელში ყოველგვარ ექსპერიმენტების საკეთებლად. გავიხსენოთ ბალკანეთის პატარა სახელმწიფოები, ოსმალეთი, ჩინეთი და დაუპირდაპიროთ მათ შვეიცარია, ბელგია, სკანდინავიის სახელმწიფოები და ეს აზრი ჩვენთვის ნათელი იქნება.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დამოუკიდებელი სახელმწიფოა. მისი დამოუკიდებლობა უკვე იცნეს ევროპაში და რუსეთში და რომ ეს დამოუკიდებლობა რესპუბლიკისათვის „ქაღალდის ნაგლეჯი" არ დარჩეს, მას რომ რეალური ძალა და მნიშვნელობა მიეცეს, ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება მტკიცე განვითარების გზაზე დავაყენოთ და ამით ახალგაზრდა სახელმწიფოს ურყეველი ნიადაგი მოუმზადოთ.

საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფოა და, როგორც ასეთმა, მან დამოუკიდებელი ეკონომიური პოლიტიკა უნდა აწარმოვოს, თუ არ უნდა, რომ ჩვენი ხალხი, ჩვენი დემოკრატია, სხვას ჩაუვარდეს ხელში საექსპლოატაციოდ.

ამისათვის აუცილებელი საჭიროა შეიქნეს ისეთი ძლიერი საფინანსო აპარატი, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს სახელმწიფოს ეკონომიურ ცხოვრებას, როგორც შიგნით, ისე გარეთ სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულებაში.

თუ ჩვენი ეკონომიური ცხოვრება არ გაძლიერდა, თუ უცხო კაპიტალს საშუალება მიეცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის საზღვრებში ბატონობისა, მაშინ მის გამომხატველ, მის ინტერესების დამცველ უცხო სახელმწიფოებრივ აპარატს გასამართლებელი საბუთი ექნება ჩვენ შინაურს ცხოვრებაში ჩასარევათ, ჩვენი ერის პოლიტიკურადაც დასამონავებლად.

რესპუბლიკის მთავრობას ეს მდგომარეობა გათვალისწინებული აქვს. საქართველოს ეკონომიური ცხოვრება თან და თან ფეხზე დგება, წელს იმაგრებს, ვაჭრობა-მრეწველობის გასავითარებლათ მიღებულია და კიდევ მისაღებია ზომები. სხვა სახელმწიფოებთან ხელშეკრულების და სხვა გვარ სავაჭრო დამოკიდებულების ხანა იწყება და დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა გვმართებს ამ ახალ ასპარეზზედ. ჩვენი ეკონომიურ ცხოვრებას, მისი შინაარსის შესწავლას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევს. მან იცის, რომ ახალგაზრდა სახელმწიფოს თავისუფალი ეკონომიური, კულტურული განვითარება მჭიდროდ არის დაკავშირებული მის დაუმუშავებელ სიმდიდრის განაღდებასთან და ამ ნიადაგზე შინაურ საწარმოვო ძალთა განვითარებასთან.

საშინელება იქნება, თუ ეს სიმდიდრე დასამუშავებლად ხელში ჩაუვარდა უცხო კაპიტალს, თუ ჩვენ უცხო სახელმწიფოს მოვალე დიდხანს ვიქნებით.

ასეთ სახელმწიფოს, რაც უნდა ჰქონდეს მინიჭებული, სავსებით დამოუკიდებელი არსებობა არ შეეძლება და ძალაუნებურად სხვისი ძალა-უფლების ქვეშ მოჰყვება.

ეს ამბავი კი ჩვენი ნორჩი დემოკრატიისათვის წარმოუდგენელი დაბეჩავებისა და უძლურების მომასწავებელი იქნება. ეკონომიურად აღორძინებული საქართველო კი სულ სხვაგვარ სურათებს გვაჩვენებს.

ის შესძლებს ამ პირობებში შექმნას ისეთი ნიადაგი, რომელზედაც აღმოცენდება დიადი კულტურა, მშვენიერი სახელმწიფო ნამდვილ დემოკრატიულ პოლიტიკურ წყობილების მქონი, ძლიერი, შეგნებული, განვითარებული დემოკრატიით...

მაშინ იქნება საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა რეალურათ და სავსებით უზრუნველყოფილი. და ამ მიზნის მისაღწევად ქართველი ერი არაფერს არ დაიშურებს.

---

## საზღვრების დაცვა.

ჩვენ გვიკიჟინებენ: ტყვილა სწერთ და ლაპარაკობთ საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვაზე, რადგან მის წინაალმდეგ არავინ არ ილაშქრებსო. თქვენ ფსიქოზით ხართ შეპყრობილი და ეჭვიანობთ, წარმოგიდგენიათ, რომ ყველა თქვენი მტერიაო. გუშინ ამას სათანადო პასუხი გავეცით და აღვნიშნეთ, თუ ვინაა ჩვენი დაუძინებელი მტერი:—ყველა რეაქციონერი, ყველა შოვინისტი და გულზვიადი იმპერიალისტი. შიგნიდან და გარედან სცდილობენ საქართველოს რესპუბლიკა დასცენ და მის ნანგრევებზე სატანისებური ხარხარი მორთონ. ჩვენ ეს ვიცით, მაგრამ სხვებს არ უნდათ ჩვენ ეს ვიცოდეთ, რადგან სურთ გულუბრყვილობაში გაგვახვიონ და თვით კი თავისი შავი საქმეები აწარმოონ ჩვენს წინაალმდეგ. აბა, როგორ დავუჯეროთ მათ, რომ საქართველოს მტრები არა ჰყავს, როდესაც (მალულ მუშაობას თავი დავანებოთ) მოხალისეთა ჯარი ჩვენ საზღვრებს მოსწოლია და დენიკინ-ლუკომსკები მუქარას გვითვლიან! როგორ ვირწმუნოთ, რომ ქართველ დემოკრატიას მტრები არა ჰყავს, როდესაც რუსეთისა და ადგილობრივი პრესაც ჩვენს საწინააღმდეგო აგიტაციას ეწევიან. მაგრამ,—ეს საერთოდ.

დღევანდელ წერილში ჩვენ გვსურს ყურადღება მივაქციოთ იმ მდგომარეობას, რომელიც სანაინის რაიონში შეიქნა. ამ რამოდენიმე დღის წინათ სომხის ჯარმა, თუ შეიარაღებულმა ბრბომ, გადმოლახა ჩვენი საზღვრები. ცხადია, ასეთი მოვლენა ყოვლად დაუშვებელია. საქართველოს საზღვრებში სხვა ელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოდან ყოველისფერი გააქუთოთ, ფასს ისინი სწევენ, რადგანაც რუსულ ფულებს თითონ სჭრიან და ერთი-ორად აძლევენ საქონელში.

ქართველი ერისათვის გერმანელების მოსვლას საქართველოში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

და არა მარტო ქართველებისათვის, არამედ საქართველოს ყველა მცხოვრებლებისათვის.

ქართველმა ხალხმა უკვე შეიგნო და დააფასა ეს. ქართველი ხალხი გერმანელებში ჰხედავს თავის დამხმარეთ და მხსნელებს.

და აი ვილაცეებისათვის საჭიროა, რომ ქართველ ხალხს გული აუმღვრიოს სხვა და სხვა ჭორებითა და ცილისწამებით...

გმირებს დაეძებს, უყივის
ჩემი დაფი და ნაღარა.

ასე ჰყიოდა მთელი თავისი სიცოცხლე დიდებული აკაკი.

გმირები გაჩნდნენ. ესენი არიან ჩვენი დემოკრატიის მოწინავე ნაწილი, ჩვენი მუშა ხალხის მებრძოლი ფრთა.

სამწუხაროდ, ჩვენს მუშებშიაც არის ისეთი ნაწილი, რომელიც სამშობლოს აღდგენის დროს სამშობლოს მოღალატეთ გამოდის თავის სიზარმაცით, უალაგო გაფიცვებით...

მაგრამ ასეთია პატარა უმცირესობა.

საუკეთესო ნაწილი ჩვენი მუშებისა კი, არა თუ თავისი ოფლით, თავისი სისხლით უმაგრებს საძირკველს ჩვენს თავისუფლებას, ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ჩვენი საუკეთესო მუშები, ახალგაზდები, ჩვენი სამშობლოს სხვა და სხვა ალაგას იხოცებიან სამშობლოს თავისუფლების და დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

ამავე დროს კი მათ ზურგს უკან ქურდები, სპეკულიანტები და ჩვენი დამოუკიდებლობის მტრები ერთად შეკავშირებულან, რომ საერთო ძალღონით გაანიაონ ჩვენი რესპუბლიკა და მისი დამოუკიდებლობა.

ჩვენი მთავრობა ამას განსაკუთრებული ძალით და ენერგიით შეებრძოლება. საჭიროა სიმტკიცე, სიმკაცრე რესპუბლიკანური წყობილების დასამყარებლად.

თუ ზოგიერთ შემთხვევაში ანგელოზს შეშვენის ცეცხლის მახვილი ხელში, მით უმეტეს შეშვენის ეს ჩვენს მთავრობას.

ჩვენი საუკეთესო შვილებისა და ძმების სისხლი უქმად არ უნდა ილვრებოდეს.

მათი დედების ტანჯვა-მწუხარებამ ძ ცრემლებმა უნაყოფოდ არ უნდა ჩაიაროს და ნუგეშად ის მაინც უნდა დარჩეთ, რომ მათი შვილების სისხლმა ჩვენი სამშობლოს თავისუფლება და დამოუკიდებლობა განამტკიცა.

მოუწოდებთ შეგნებულ ძ მებრძოლ მუშებს ახალგაზდებს—ყველას ვისაც კი სამშობლოსათვის უძგერს გული.

ამოუდექით მთავრობას გვერდში და დაეხმარეთ მას ჩვენი ქვეყნის გასაწმენდათ და სახსნელად.

დავუმტკიცოთ ქვეყანას, რომ ქართველი ერი და მისი დემოკრატია ღირსნი არიან თავისუფლებისა.

დავუმტკიცოთ, ყველას, რომ ქართველ დემოკრატიას საკუთარის ძალ-ღონით შეუძლიან თავისი ქვეყნის ცხოვრების მოწყობა და წინამძღოლობა.

ი. გ—ძე.

## იუსტიციის სამინისტროში.

იუსტიციის მინისტრმა ამა ოქტომბრის 18-ს შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა სამინისტროს ქვემდებარე დაწესებულებათა უფროსებს:

„ამით გაუწყებთ, რომ თანახმად ჩემის განკარგულებისა ამა ოქტომბრის 10-დან მოხდა სრული გაეროვნება იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის საქმის წარმოებისა.

„ამისდა მიხედვით, გთხოვთ დაუყონებლივ და ყოველს შემთხვევაში ამა წლის ნოემბრის 1-დან მაინც მთელი მიწერ-მოწერა სამინისტროსთან სახელმწიფო ენაზე აწარმოვოთ“.

იუსტიციის სამინისტროს კანცელარიის დირექტორად დაინიშნა ნაფიცი ვექილი გ. თ. ჟორდანია, ხოლო უფროს იურისკონსულტად სენატორი ბ. ნ. სმიტტენი.

ორშაბათს, ოქტომბრის 21-ს, დილის 11 საათზე იუსტიციის მინისტრის კაბინეტში მოწვეული იყო საგანგებო თათბირი საქართველოს სასამართლო დაწესებულებათა გაეროვნებაზე სამსჯელოდ. თათბირზე, თანამდებობის პირთა გარდა, მოწვეული იყო მთელი შემადგენლობა პარლამენტის იურიდიულ კომისიისა.

იუსტიციის მინისტრმა წინადადება მისცა ტფილისის, ქუთაისის და ფოთის ქალაქების თვითმართველობათ, რომელთაც ახალ კანონით უნდა აირჩიონ თავიანთ ქალაქებისათვის მომრიგებელი მოსამართლეები, დაუყოვნებლივ შეუდგნენ არჩევნებს. ქ. ტფილისში უნდა აირჩეს 22 უბნის მომრიგებელი მოსამართლე და 11—საპატიო, ქ. ქუთაისში—5 უბნისა და 3—საპატიო, ქ. ფოთში—2 უბნისა და 1—საპატიო.

ამავე დროს იუსტიციის სამინისტრო შეეკითხა შინაგან საქმეთა სამინისტროს იმის შესახებ, რომელ მაზრებში დასრულდა საერობო არჩევნები და შესდგა საერობო გამგეობანი. პასუხის მიღებისთანავე, უკვე შედგენილ სამაზრო ერობათ მიეცემათ წინადადება მომრიგებელ მოსამართლეთა არჩევის შესახებ.

სულ უნდა არჩეულ იქმნას მომრიგებელი მოსამართლე:

| მაზრა. | რიცხვი უბნის მომრიგებელ მოსამართლეთა. | რიცხვი საპატიო მოსამართლეთა. |
|---|---|---|
| ტფილისის . . . . . | 6 | 4 |
| ბორჩალოს . . . . . | 6 | 5 |
| დუშეთის . . . . . | 3 | 3 |
| გორის . . . . . . | 11 | 6 |
| სიღნაღის . . . . . | 6 | 3 |
| ზაქათალის-ოლქი . . . | 3 | 1 |
| თელავის . . . . . | 4 | 3 |
| თიანეთის . . . . . | 3 | 2 |
| ქუთაისის . . . . . | 11 | 5 |
| რაჭის მაზრა . . . . | 4 | 3 |
| ლეჩხუმის და სვანეთის | 4 | 3 |
| შორაპნის . . . . . | 7 | 5 |
| ოზურგეთის . . . . | 6 | 3 |
| ახალ-სენაკის . . . . | 4 | 2 |
| ზუგდიდის . . . . . | 6 | 3 |
| სოხუმის . . . . . | 7 | 4 |

## დეპეშები.

### ომი.

ბერლინი, 21 ოქტ. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ფლანდრიაში, ლისის სექტორში, ძლიერი ბრძოლა სწარმოებდა. მტერი შემოიჭრა ზომერგენში, მაგრამ კონტრ-იერიშით ისევ განვდევნეთ. დეინდზე ორივე მხარეზე მტერი გამაგრდა ლისის დასავლეთ ნაპირზე. ჯარის ნაწილი, რომელიც მდინარეს აქეთ შემოიჭრა, დავატყვევეთ. ფრანგების მცირე ჯგუფი გამაგრდა აღმოსავლეთ ნაპირზე. კორტრიკის აღმოსავლეთით მტერი შემოიჭრა დორლიკის და ზვევეგემის აქეთ. მაღლობებზე, ვიხტის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით ჩვენ მოვიგერეთ მტრის იერიშები. შელდის ჩრდილოეთით ჩვენი პოზიციების წინ მოვიგერეთ მტრის იერიში. ტურნის ჩრდილოეთით მტერმა მიაღწია შელდას. ტურნეს სამხრეთით დენენის აღმოსავლეთით მტერთან ბრძოლა გვაქვს. სენ-ამანის ხაზზე და მაღლობებზე ხასპრის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით სოლემსის ორივე მხარეზე და ლე-კატოსთან მტერმა 17 და 18 ოქტომ. იერიშები გააფართოვა. ლე-კატოსა და უაზის შუა გუშინ დიდი ძალებით მტერმა კვლავ ძლიერი იერიში მოიტანა სომენგომის და ფერტრენგის შუა. ხარპის დაბლობის დასავლეთით მტრის იერიშები მოვიგერეთ. სოლემსის ორივე მხარეზე მტერმა გაარღვია ჩვენი წინა ხაზი, მაგრამ მაღლობებზე, ქალაქის აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მტერი შევაჩერეთ. ჩვენ მიერ დატოვებული რომერი და ომერვალი კონტრ-იერიშით ისევ დავიბრუნეთ. ლე-კატოს ორივე მხარეზე, ძლიერი ბრძოლის შემდეგ, ჩვენ შევინარჩუნეთ ჩვენი პოზიციები. ამ ბრძოლაში განსაკუთრებული სიმამაცე გამოიჩინა ბრანდენბურგის 44 დივიზიამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა გენერალმაიორი ჰაასი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბრძოლაში მტერმა მრავალი სამხედრო მასალა დახარჯა, ოცი კილომ. ფრონტზე, ჩვენი ჯარის სიმამაცის გამო მან ძლიერ მცირე ტერიტორია მოიგო.

გერმანიის კრონ-პრინცის არმია.

სერის ჩრდილოეთით ლაონ-მარლის გზატკეცილის ორივე მხარეზე მტერმა იერიშები განაახლა. კონტრ-იერიშით ჩვენ დავიბრუნეთ მტრის ხელში გადასული პოზიციები და მოწინააღმდეგის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ. მდინარე ენის დასავლეთით, აღმოსავლეთ პრუსიის ბათალიონებმა ძ ბრძოლაში გამოცდილმა 231 პოლკმა მოიგერია მტრის იერიში და თავისი პოზიციები დაიბრუნა. ვუზიერის აღმოსავლეთით მტერი შეეცადა 19 ოქტომბრის გამარჯვების გაფართოვებას, მაგრამ 411 პოლკმა და ბავარიის 24 პოლკის მეშვიდე როტამ მტერს ცდა უნაყოფოთ ჩაუტარა.

გალვიცის არმია. ბონტეფილის აღმოსავლეთით ამერიკელების იერიში მოვიგერიეთ. მაასის ორივე მხარეზე უმნიშვნელო შეტაკეშებია.

სამხრეთ-აღმოსავლეთის ფრონტი. მორავაზე ჩვენ მოვიგერიეთ სერბიელების განახლებული იერიშები.

ბერლინი, 21 ოქტ. საღამოს სამხედრო ცნობა. ფრონტებზე მტერი აწარმოებს კონტრ-იერიშებს, რომელთაც ჩვენ ვიგერიებთ. მდინარე ენის აღმოსავლეთით, ვუზიერის ორივე მხარეზე მტრის მიერ დაჭერილი მაღლობის წინააღმდეგ კონტრ-იერიშებს ვაწარმოებთ და ვიმარჯვებთ.

რუსეთის ფრონტზე.

მოსკოვი. 21 ოქტ. ს. რ. ც. აღ. კომიტ. ბეჭდვითი ბიუროს ბიულეტენი, 19 ოქტ. აღმოსავლეთის ფრონტი: კუვშინის მიმართულებით, სოფელ ვისვევკასთან ბრძოლა გრძელდება. მტრის შეტევა კუვშინის ქარხანაზე მოვიგერიეთ, კრასნოუფიმის მიმართულებით მტერმა დიდძალ ჯარს მოუყარა თავი და შეტევა დაიწყო. ჩრდილოეთის ფრონტი: ცარიცინის მიმართულებით ჩვენ დავიჭირეთ სადგური ვორონკოვი; ივანოვკა-სარებტის ფრონტზე წინსვლას განვაგრძობთ.

ავსტრიის და სხზავო ნოტა.

ვენა, 19 ოქტ. ავსტრიის მთავრობას ჯერ არ გამოუქვეყნებია ვილსონის პასუხი. ფიქრობენ, რომ ვილსონი მოითხოვს მათგან გერმანიასთან კავშირის შეწყვეტას. ავსტრია იარსებებს როგორც ფედერეტიული სახელმწიფო.

დემობილიზაცია.

კოპენგაგენი, 19 ოქტ. გერმანიის რკინის გზებს ბრძანება დაეგზავნათ,—მზად იყვნენ მოსალოდნელ დემობლიზაციის წესიერად ჩატარებისთვის.

ნოტა.

სტოკჰოლმი, 19 ოქტ. ამერიკის გაზეთებში გამოქვეყნებულია ნოტა, რომელიც მოითხოვს ახალ წლამდე ელზას-ლორენის საფრანგეთისთვის დაბრუნებას.

რეიხსტაგში.

ბერლინი, 19 ოქტ. რეიხსტაგის სხდომა დანიშნულია 20 ოქტ. განსახილველია საკითხი კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. სამხედრო ცენზურა თავისს საქმეს განაგრძობს. დემოკრატიული სიტყვების გამოქვეყნება აკრძალულია. ზოგიერთი მემარჯვენე სოციალისტური გაზეთები დახურეს.

ავსტრო-უნგრეთის ნოტა და ვილსონი.

გერმანიის პრესა. 20 ოქტ. ჰააგა. ვაშინგტონიდან „ტაიმსს“ ატყობინებენ: ავსტრო-უნგრეთის ნოტის შესახეა, სამშაბათს, ვილსონს ბჭობა ჰქონდა ლანსიგთან. განსაკუთრებულ კომისიას მინდობილი აქვს ავსტრო-უნგრეთის ნოტის შესწავლა. ფიქრობენ რომ ნოტას, რომელსაც ახლო მომავალში მოელიან, ზომიერი კილო ექნება.

საპასუხო ნოტის გაგზავნა.

ბერლინი. გერმანიის საპასუხო ნოტა ვილსონს კვირას ეგზავნება.

ჰააგა. ნეიტრალურ სახელმწიფოებში გავრცელდა ხმა, რომ თუ შეთანხმების სახელმწიფოთა მთავრობებმა უარჰყვეს გერმანიასთან ზავის შეკვრა ვილსონის 14 პუნქტის საფუძველზე, იმ შემთხვევაში ამერიკა სეპარატიულ ზავს შეკრავს გერმანიასთან და საფრანგეთიდან თავის ჯარს გამოიყვანს. ამერიკის ხელშეკრულობის თანახმად ვილსონს აქვს უფლება გადასდგას ასეთი ნაბიჯი.

ბავარია.

მიუნჰენი. ხმები, ვითომ ბავარიას სეპარატიული ზავის წინადადება მისცეს, სიმართლე არაა.

საპასუხო ნოტის მიზანი.

ბერლინი. მთავრობის წრეებში განაცხადეს, რომ გერმანიის საპასუხო ნოტის მთავარი მიზანია გაიგონ ნამდვილი პირობები, რომელზედაც მოკავშირეებს სურთ ზავის შეკვრა.

ნიკოლოზ-ნიკოლოზის ძის დახვრეტა.

ჟენევა. შვეიცარიის პრესას ატყობინებენ ცარსკოე სელოდან, რომ რუსეთის არმიის ყოფილი მთავარსარდალი დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე დახვრიტეს ღამით 15 ოქტომბერს.

უკრაინის მთავრობა.

კიევი. გადადგა უკრაინის კაბინეტის სრული შემადგენლობა. მინისტრ-პრეზიდენტი და სხვა მინისტრები იმუშავებენ ახალ კაბინეტის შედგენამდე. ფიქრობენ, რომ კაბინეტის შემადგენლობა შემდეგი იქნება: თავმჯდომარე—ლიზოგუბი, საგარეო საქმეთა მინისტრი-დოროშენკო, სამხედრო-როგოზა, კულტურის-ლოტოტიკი, მეურნეობის-ჩიკლენკი, ვაჭრობა-მრეწველობის-ბოროდაევსკი, საზოგადოებრივი მუშაობის-სტეფანოვი, სტატს-მდივანი-სტებნიცკი, სარწმუნოების-მასლოვი, იუსტიციის და ფინანსების-როგეპიცკი, შინაგან საქმეთა მინისტრის ადგილზე ჯერ არავინაა; სამინისტროს გამგეთ იქნება მინისტრის ამხანაგი რეინბოტი; ჯამრთელობის მინისტრი-ლიუბინსკი, რკინის გზის-ბუტენკო და მზრუნველობის—ზერბელი.

ბერლინი. გერმანიის უმაღლეს სამხედრო გამგეობის წარმომადგენელმა პოლიტიკურ ბჭობის დროს სამხედრო საქმეებზე, განუცხადა დეპუტატებს, რომ გერმანია არაა იძულებული შესწყვიტოს ომი, მას კიდევ შეუძლიან განაგრძოს ომი და არ დამარცხდეს. ამ განცხადებამ დიდი გავლენა იქონია ვილსონის საპასუხო ნოტაზე.

კიევი. უკრაინის მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა შეასწოროს უკრაინა-რუმინიის ხელშეკრულობა, რომელიც ჯერ ხელმოუწერელია.

საბჭოთა მთავრობა ვორონეჟს სცლის. სანგრების სათხრელათ ბურჟუაზიის და სამღვდელოების მობილიზაცია ხდება.

„კიევსკაია მისლი“ იუწყება: გეტმანის სასახლეში სამი საგანგებო კრება მოხდა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მინისტრთა საბჭოს წევრებმა და საელჩოს წარმომადგენლებმა. გადაწყვეტილებათა გამო მოელიან საყურადღებო განკარგულებას.

ბერლინი. სოც.-დემ. პარტიის ხელმძღვანელებმა გამოუშვეს მოწოდება რევოლიუციონურ მოძრაობის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლიან მიიყვანოს ხალხი ბალშევიზმამდე და სამოქალაქო ომი გამოიწვიოს.

ჟენევა. „ლიიონის პროგრესი“ იუწყება, რომ ვატიკანს ვილსონის პასუხმა იმედი გაუცრუვა.

ბერნი. საფრანგეთის სოციალისტურ გაზეთებში გამოქვეყნებულია მოწოდება, სადაც დეპუტატები მიმართავენ საფრანგეთის მუშებს. მოწოდება მოაგონებს მათ ცენტრალურ სახელმწიფოების ზავის პირობებს და სთხოვს მუშათა კლასს ამ გადამწყვეტ მომენტში დაივიწყონ სიძულვილი და მზად იყვნენ ხალხის უფლებებისა და ზავის დასაცვავად.

### უცხოეთი.

დაპყრობილი ადგილების დაბრუნება.

ლონდონი, 19 ოქტ. „ლონდონის მიმოხილვის“ სამხედრო თანამშრომელი სწერს: „ივლისიდან მოკავშირეებმა უკან დაიბრუნეს: ბრიუგე, კურტრე, ლილის მიდამო, დუე, კამბრე, სენ-კანტენი, ლაფერი, გობენი, შმენდედამი, ლაიონი, მთელი ჩრდილო შამპანი და ზემო არგონი. ყველა ეს ძვირფასი და დაუვიწყარი გამარჯვებანი უფრო მიმზიდველი ხდება, თუ გავიხსენებთ ჩვენს განვლილ გაზაფხულს და შარშანდელ ზაფხულს. მორიგ სამხედრო განზრახულებათა აღსრულება შეგვიძლია გადავდოთ მომავალ ზაფხულისათვის... (დამახინჯებულია). მტერი შეიძლება მხოლოდ ამ ზამთარმა გადაარჩინოს სრულ განადგურებას, მაგრამ ჩვენი გამარჯვება უზრუნველყოფილია. ეს მხოლოდ დროს და ისიც რამოდენიმე თვის საკითხია. მტრის სისუსტე თანდათან თვალსაჩინო ხდება. მას ასუსტებს ცოცხალი ძალის სიმცირე, რომელსაც ხელოვნურად არაფერი ეშველება. ამ უკანასკნელი წლის განმავლობაში მას დააკლდა მილიონი კაცი და დაჰკარგა 5000 ზარბაზანი, რაიც შეადგენს თითქმის მესამედს მისი არტილერიისას. მას ძალზე უნდა შეემცირებია რიცხვი თავისი დივიზიებისა, რითაც მათი ძალა საგრძნობლათ მცირდება. მტრის სათადარიგო ჯარი 30 დივიზიამდე ჩამოვიდა, რომელთაგან მხოლოდ ნახევარი თუ წარმოადგენს ახლა სავარგის ძალას. სულიერი განწყობილებაც დღითი-დღე ეცემა გერმანიაში. დამორჩილება, ან სრული განადგურება, აი ის არჩევანი, რომელიც მტრის წინაშე სდგას“.

ტყვეების განთავისუფლება.

სტოკჰოლმი, 18 ოქტ. ინგლისის ქვედა პალატაში მინისტრმა განცხადა, რომ დროებითი ზავის აუცილებელ პირობათ ყველა ინგლისელი ტყვეების განთავისუფლებას ვსთვლითო.

## გერმანეთის შტაბიდან

გერმანიის საიმპერატორო დელეგაციამ კავკასიაში 20 ამ თვეს შემდეგი დეპეშა მიიღო სტამბოლიდან:

„საიმპერატორო საელჩო სტამბოლიდან ატყობინებს გერმანიის საიმპერატორო დელეგაციას კავკასიაში, რომ მთავრობის შეცვლამ სრულიად უინციდენტოთ ჩაიარა.

ფრაკიის საზღვარზე სრული სიმშვიდეა. მტრის წინსვლას ოსმალეთის ტერიტორიაზე არ ჰქონია ადგილი.

სირიაში ბალბეკთთან (ასორმოცდაათი კილომეტრი ალეპპოსაგან) ინგლისელებმა შეაჩერეს თავის უმთავრესი ძალები. ხომსის მიმართულებით მცირე-რიცხოვან მტრის არტილერიამ წინ წაიწია. ქ. მოსსული დღემდე ოსმალეთის ხელშია.

ყველა ხმები ოსმალეთის მიერ სეპარატიული ზავის შეკვრის შესახებ—ყალბია და დამყარებულია საბირჟო მანევრებზე“.

## ახალი ამბები.

### მთავრობაში.

◯ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო სასანიტარო ნაწილი ამ ჟამად იკვლევს გეგმას საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამკურნალოების და საავადმყოფოების დაარსების შესახებ შეფარდებით იმ გეგმასა, რომელიც საერობო გამგეობასა აქვს დასახული.

◯ მთავრობის თავმჯდომარემ ნ. ჟორდანიამ შემდეგი მისალოცი დეპეშა მიიღო: „ტფილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი. „გორის მაზრის სოც.-დემ. ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა მოგესალმებათ თქვენ და თქვენი სახით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობას. გორის მაზრის მუშათა და მშრომელ გლეხკაცობის სახელით სიტყვას ვდებთ თქვენს წინაშე, რომ მედგრად დავიცავთ და გავამაგრებთ ყველა თქვენ ნაბიჯებს მიმართულს ჩვენი დამოუკიდებლობის და დემოკრატიის დასაცავად. ყრილობა თავის სიყვარულს გამოსთქვამს, რომ მთავრობამ გორის მაზრის რეაქციონურ თავად-აზნაურობის მეთაურობი, რომელნიც შეთქმულობას აწყობდნენ რესპუბლიკის წინაალმდეგ, დაატუსაღა და სამართალში მისცა. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს დემოკრატია გადალახავს ყოველივე დაბრკოლებას და დიად საქმეს რევოლიუციის მიერ დაკისრებულს ბოლომდის გამარჯვებით მიიყვანს". ყრილობის თავმჯდომარე იმნაიშვილი.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს დირექტორი ივ. ი. კაჩუხაშვილი, თანახმათ მისივე თხოვნისა, 2 თვით იქნა სამსახურიდან განთავისუფლებული. მის ადგილას დაინიშნა ვიცე-დირექტორი ი. ვ. აფაქიძე, ვიცე-დირექტორის თანამდებობის დრ. აღმასრულებლად ნ. კ. ჩიკვაიძე, ხოლო ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებლად ვ. ნ. მგალობლიშვილი.

○ სამხედრო მინისტრმა მთავრობაში შეიტანა მოხსენება, სადაც მოითხოვს, რომ საზღვრებზე მყოფ ჯარის ნაწილებისაგან ყველა რკინის გზის სადგურმა და ფოსტამ უფასოდ გადაგზავნოს სამხედრო შინაარსის დეპეშები.

○ სამხედრო მინისტრმა ბრძანება გასცა, სადაც აღნიშნა, რომ მიუხედავად სადისციპლინო წესის გამოცემისა, რომელიც ოფიცრეცრებს უკრძალავს ჩემთან უშუამავლო დამოკიდებულებას მაინც ბევრი ოფიცერი მომართავს პირადად რითაც არღვევს სამხედრო დისციპლინასო. ამიტომ მინისტრი ბრძანებს: შემდეგში ასეთი დამნაშავენი სასტიკად დაისჯებიანო.

○ მთავრობის რწმუნებული რუხაძე აწყურიდან შინაგან საქმეთა მინისტრს ატყობინებს დეპეშით: „ახალციხე-ახალქალაქის საქმე მეტად გამოურკვეველია. დღეს მოველაპარაკე ოსმალთა კომენდანტს ლატიფ ბეის, რომელმაც განმიცხადა, რომ ჩვენ ამის შესახებ არავითარი ცნობა არ გვაქვსო. ამავე დროს გაუძლიერებიათ საზღვარზე რაზმები, რომელნიც ყველა თითქმის ასკერებისაგან შესდგებიან. თვით ადგილობრივი მაჰმადიანებიც მტრულად უცქერიან ჩვენ შესვლას. ახალციხე-ჯავახეთიდან გადმოხვეწილები კი ყოველდღე იყრიან თავს საზღვრებზე. თუ საჩქარო ზომები არ იქნა მიღებული საქმის გამოსარკვევად, მაშინ ლტოლვილები სიცივით ამოსწყდებიან ტყეებში. გთხოვთ მოელაპარაკოთ ოსმალთა მისიას ტფილისში და მათი საშუალებით აცნობოთ საქმის მდგომარეობა ახალციხე-ახალქალაქში მდგომ ოსმალთა ჯარების უფროსს. ხვალ ბაკურიანით მივდივარ წალკისკენ, რომ ბორჩალოს მაზრის ლტოლვილთა გადმოსახლების ორგანიზაცია მოვაწყო".

სახალხო განათლება

○ ქალაქის პირველ უმაღლეს დასაწყის სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლად ქალაქის გამგეობამ ი. ლ. სიხარულიძე დანიშნა.

სასამართლოს გარშემო.

○ ოქტომბრის 16-ს სამხედრო სასამართლომ გაარჩია განსაკუთრებულ მფრინავ რაზმის ჯარის-კაცის ივ. ვარსმანიშვილის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა ამავე რაზმიდან ვინტოვკის გატაცება. სასამართლომ ფარსმანიშვილი დამნაშავედ იცნო და 2 წლის და 6 თვის გამასწორებელ რაზმში ყოფნა გადაუწყვიტა.

ბოლშევიკები.

○ მეტეხის ციხეში ბოლშევიკმა ტყვეებმა სიმშილი გამოაცხადეს, მათ შორის ბუდუ მდივანი და ნ. ცერცვაძეც ურევია.

ადმინისტრაცია.

○ სოხუმიდან ჩამოიყვანეს ტფილისში საქართველოს რესპუბლიკის მტრები ვლ. შარვაშიძე, ალ. დემიანოვი, დიმ. ლუკიანოვი, მიხ. შლატტერი, გეორ. აჯემოვი, ნიკ. კურილეჩუკი, დიმ. ალანია და ტარტატ ხოჩიკიანი. ყველა ესენი მეტეხის ციხეში მოათავსეს.

○ საგანგებო რაზმის უფროსმა თანამშრომელმა ახვლედიანმა გუშინ ალიხანოვის წისქვილში, მონუმენტის ქუჩაზე, აღმოაჩინა 60 ტომარა შაქარი, წონით 300 ფუთი.

○ საგანგებო რაზმმა შეიპყრო გრ. ჯავახიშვილი, ივ. მარღანია, გ. თუმანოვი, ს. აშხაცევი, დ. ბ. პოპოვი სპეკულიაციის წარმოებისათვის.

## სხვა და სხვა ამბები.

○ არარატის რესპუბლიკის მთავრობას გადაუწყვეტია ერევანში დაარსოს საქსოვი ქარხანა, რისთვისაც მთავრობას 6 მილ. მანეთი გადაუდვია.

○ ოქტომბრის 21-ს საღამოს სასტუმრო „მირ"-ში შევიდნენ შეიარაღებული ბოროტმოქმედნი და გაიტაცეს 8500 მანეთი.

○ მიხეილის საავადმყოფოს რევიზია უკვე დაამთავრა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო-სასანიტარო ნაწილმა.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო-სასანიტარო ნაწილის განკარგულებით დაინიშნა საგანგებო კომისია, რომელიც შეუდგა რევიზიას ტფილისის აფთიაქებისა და საააფთიაქო საწყობებისას.

○ სოხუმში გაიგზავნა ექიმი არჯევანიძე სამკურნალო-სასანიტარო მდგომარეობის აღსანუსხავად.

○ საქართველოს წითელ-ჯვრის გამგეობამ უკვე მოამთავრა მთელი ქონების მიღება.

## განცხადებები


მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

**გ. გ. მეგრაბიანცი**

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92. 624. 30—12.

ოჰანეზ მარუკიანცი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ახალ-ციხის ქალაქის სამართვ. და თვის მეუღლის პასპორტი მიღებული იქიდანვე ეკატერინე მარუქიანცის და ხაზინის პერევოდის ბილეთი ასაფ ბარანოვის და შოგოროვსკის სახელზე. 907 (3—3)

**ქართული შრიფტი**

რუსულ ასოებიან საბეჭდავ მანქანებს ვახალისებ ქართული შრიფტით. მაგალითისთვის ყოველ დროს შეიძლება გადაკეთებული მანქანის გასინჯვა. ს. გ ე რ მ ა ნ ი, სასახლის ქუჩა, № 2. 691 10-6


სისხ. სამ. წესდ., მე-852, 876, 847, 848 და 851 მუხ. ძალით, მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწის დადგენილებით ეძებენ აბდულ შალხურის ძე აუშევს, რომელსაც ბრალი ედება სასჯ. დებ. მე-169 მუხ. ძალით. აუშევი 18 წლისაა. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს აუშევი, ვალდებულია განუცხადოს მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწეს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოაჩნდება აუშევის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ გადასცენ სააპეკუნო სამმართველოში. 462 1—1

სისხ. სამ. საქ. წარ. მე-846, 847, 848, 851 მუხ. ძალით ეძებენ ქ. ტფილისის მცხოვრებს გენადი შელავინს, რომელსაც ბრალი ედება სასჯელთა დებულების მე-13 და მე-294 მუხ. ძალით. ნიშნები შელავინისა არ იციან. ყველა, ვინც იცის სად ცხოვრობს შელავინი, ვალდებულია განუცხადოს სასამართლოს. დაწესებულებანი, რომელთა განკარგულებაში აღმოჩნდება შელავინის ქონება, ვალდებული არიან დაუყონებლივ შეიტანონ ის სააპეკუნო სამმართველოში. 612 1—1

ხონის მომრიგებელი ნაწილის გამგე სამ. კან. კრ. მე 1239 და 1241 მუხ. ძალით იწვევს გარდაცვალებულ ალექსანდრე ანდრიას ძე კუჰავას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება კუჰავას ქონებაზედ ექვსის თვის ვადაში ამ განცხადების დაბეჭდვიდან. 760 1—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული იწვევს გარდაცვალებულ მიხეილ დავითის ძე ჰავჰავაძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ჰავჰავაძის ქონებაზედ სამ. კან. კრ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადის განმავლობაში. 911 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1917 წ. ოქტომბრის 20 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი გიიანე დავითის ასული ტერ-მათეუზოვისა. 461 1—1

## საქართველოს სახაზინო რკინის გზათა მმართველობა

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ ქვემოდ აღნიშნული მოუკითხავი ხელსატარებელი ბარგი გაიყიდება ტფილისის ცენტრალ საწყობში 5 ნოემბერს 1918 წ. დილის ათ საათზე. გაუყიდავი საქონელი ხელმეორედ დაინიშნება გასასყიდათ 6 ნოემბერს 1918 წ. მოუკითხავი ხელსატარებელი ბარგი: №№ ტვირთის ბარათებისა. № 216 ა—13 გ., 289 ა—24 გ., 279 ა—30 გ., 280 ა—35 გ., 286 ა—28 გ., 283 ა—1 ფ. 3 გ., 281 ა—27 გ., 287 ა—15 გ., 270 ა—23 გ., 293 ა—8 გ., 285 ა—4 გ., 292 ა—15 გ., 290 ა—5 გ., 214 ა—14 გ., 211 ა—24 გ., 241 ა—12 გ., 215 ა—14 გ., 217 ა—13 გ., 262 ა—14 გ., 223 ა—4 გ., 274 ა—3 გ., 246 ა—9 გ., 268 ა—20 გ., 257 ა—25 გ., 233 ა—8 გ., 229 ა—9 გ., 227 ა—1 ფ. 11 გ., 239 ა—2 გ., 222 ა—15 გ., 264 ა—3 ფ. 32 გ., 254 ა—39 გ., 242 ა—22 გ., 261 ა—34 გ., 218 ა—20 გ., 267 ა—37 გ., 243 ა—22 გ., 277 ა—8 გ., 237 ა—15 გ., 288 ა—18 გ., 219 ა—10 გ., 220 ა—26 გ., 234 ა—16 გ., 269 ა—34 გ., 284 ა—35 გ., 253 ა—34 გ., 263 ა—2 ფ. 9 გ., 245 ა—22 გ., 266 ა—18 გ., 259 ა—4 ფ., 39 გ., 235 ა—28 გ., 230 ა—32 გ., 238 ა—36 გ., 271 ა—2 ფ., 33 გ., 278 ა—2 ფ. 20 გ., 212 ა—22 გ., 213 ა—1 ფ. 5 გ., 258 ა—1 ფ. 11 გ., 228 ა—9 გ., 240 ა—34 გ., 272 ა—3 გ., 273 ა—3 გ., 291 ა—17 გ., 232 ა—12 გ. (729 3-2)

## ზედამხედველი კომიტეტი

მარიამის საერთაშორისო ამხანაგობისა ყარაიაზში

აცხადებს, რომ ოთხშაბათს, 29 ოქტომბერს 1918 წ., საღ., 6 საათზე, დანიშნულია, ლიტ. და § 9 საამხანაგო დებულების ძალით, საჩქარო საზოგადო კრება ქალ. ტფილისში ზედამხედველი კომიტეტის თავმჯდომარის დ. ი. კორგანოვის ბინაზე, ავჭალის მოედანი № 14. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 59.

დღიური წესი: 1. ამხანაგობის მამულის გადაცემის შესახებ საქართველოს წყალთა სამართველოსადმი, 2. ამხანაგობის ფულის სახსარის შესახებ, 3. მიმდინარე საკითხები. 917 1—1


გამოვიდა და ისყიდება

**მოკლე თვითმასწავლებელი გერმანული ენისა. ფასი ერთი მან.**

გამოცემის საწყობი: საქართველოს მთავრობის სტამბა—კალოუბნის ქ. № 5. 3—2


ქ. ტფილის მესამე მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული ბარუტჩევი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 1, დილის 10 საათზე, მის მიერ მოხდება საჯარო ვაჭრობა ისაკ ობუხოვსკის მოძრავ ქონებაზე გდალია კირშბაუმის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, რომლისაც ობუხოვსკის მართებს 15.251 მან. ქონებას შეადგენს 6 დიდრონი რკინის ქვაბები, წონით დაახლოებით 400 ფუთი. ქონება შეფასებულია 8.000 მან. ვაჭრობა მოხდება ელისაბედის ქუჩა, № 139, ობუხოვსკის ქარხანაში. 910 1—1

სენაკის მომრიგებელ განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე, სამ. საქ. წარმ. წესდ. მე-1401 მუხ. ძალით იწვევს კონსტანტინე მაქსიმეს ძე მასხულიას ქონების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. კრ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადის განმავლობაში. 756 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამაზრო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ კონსტანტინე იოსების ძე ფოჩხიძის ქონების მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადის განმავლობაში. 757 1—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული ა. ა. გეგეჭკორი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ოქტ. 31, დილის 10 საათზე, ბორჯომის ქ., № 7, მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ანტონ კელლერის უძრავ ქონებისა, რომელიც შესდგება სახლის ავეჯეულობისაგან და შეფასებულია 545 მან. ქონება აწერილია ქ. ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლის 25 ივნისის 1916 წ. № 87 აღმასრულებელი ფურცლით ივანე სალახაის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, რომელსაც კელერისაგან 585 მ. 27 კ. აქვს მისაღები. 912 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. მაისის 15 დადგენილებით დაამტკიცა ნოტარიალური ანდერძი სიმონ ანდრიას ძე ნანიკაშვილისა. 494 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლომ 1918 წ. სექტემბრის 13—15 დადგენილებით დაამტკიცა შინაური ანდერძი ალექსანდრე პეტრეს ძე ნიკოლსკისა. 465 1—1

ბაგრატ იაგორის ძე იარალოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ტფილისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსის მიერ 1893 წ. სექტ. 27 დამტკიცებული ნასყიდობის სიგელი № 1705, რომლითაც მან იყიდა მარიამ კონიშევისგან ვენახი ს. ავჭალაში. 913 1—1

ქუთაისის მაზრის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ პავლე დავითის ძე იაშვილის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება იაშვილის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადის განმავლობაში. 761 1—1

ქ. ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს ბაგრატ რუსტამის ძე ამირაღიანცის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ამირაღიანცის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. ძალით აღნიშნულ ვადის განმავლობაში. 824 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. 16—17 სექტ. დადგენილებით კოოპერატივთა ამხანაგობის ნუსხაში შეტანილია წესდება ძიგურის სამიწათ-მოქმედო კოოპერატივის „კომუნა" სი, რომელიც დაარსებულია ძიგურში, სენაკის მაზრა, ქუთაისის გუბერნია. 498 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. სექტემბრის 16—17 დადგენილებით, კოოპერატივთა ნუსხაში შეტანილია წესდება ქუთაისის მომხმარებელ საზოგადოებისა „ახალი გზა", რომელიც დაარსებულია ქ. ქუთაისში. 499 1—1

საყოველთაოდ ცხადდება, რომ ქუთაისის ოლქის სასამართლოს 1918 წ. სექტ. 16—17 დადგენილებით, კოოპერატივთა ამხანაგობის ნუსხაში შეტანილია წესდება ზედა-თავასის მომხმარებელ საზოგადოებისა „საშუალება", რომელიც დაარსებულია სოფ. ზედა-თავასში, შორაპნის მაზრა, ქუთ. გუბ. 497 1—1

## გამოსადეგი ცნობები

### სამგზავრო მატარებლების მიმოსვლა

კახეთის რკინის გზაზე:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3—გადის თელავიდან | დილის | 8 | ს. | 28 წ. |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | 14 „ |
| თბილისში | „ საღამოს | 5 | „ | — |
| № 4—თბილისიდან გადის | დილის | 8 | „ | 58 „ |
| გურჯაანში მიდის | ნაშუადღ. | 3 | „ | 24 „ |
| თელავში | „ საღამოს | 5 | „ | — |
| № 5—წნორის წყალიდან გადის | დილის | 8 | „ | 42 „ |
| გურჯაანში მიდის | „ | 10 | „ | — „ |
| № 6—გურჯაანიდან გადის | ნაშუად. | 4 | „ | 15 „ |
| წნორის წყალში მიდის | „ | 6 | „ | 20 „ |

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.